

## საქართველოს კანონი

### „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ.4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

#### 1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ ქვეპუნქტი:

„რ<sup>2</sup>) ელექტრონული სწავლება- კვალიფიკაციის მისაღებად ორგანიზებული, თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი, რომელიც არ ითვალისწინებს სტუდენტის და პედაგოგის განსაზღვრულ ადგილზე ერთდროულად ყოფნას. ელექტრონული სწავლების განხორციელებისთვის აუცილებელია კურიკულუმის დაგეგმვის, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ადმინისტრირების შესაბამისი მიდგომების და მეთოდების გამოყენება.“

#### 2. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში დადგენილი წესით ატარებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) მონაცემის რეგისტრაცია ხორციელდება მისი წარდგენიდან ერთი თვის ვადაში;

ბ) მონაცემი არ გატარდება, თუ დარღვეულია ამ კანონისა და უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნები;

გ) თუ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო მონაცემის წარმომდგენს ერთი თვის ვადაში არ აცნობებს აღმოჩენილი დარღვევის შესახებ, მონაცემი რეგისტრირებულად ითვლება.“

#### 3. დაემატოს შემდეგი შინაარსის 47<sup>4</sup>-ე მუხლი:

„მუხლი 47<sup>4</sup>. ელექტრონული სწავლება

1. ელექტრონული სწავლება ითვალისწინებს სწავლის მართვის სისტემის გამოყენებით სასწავლო პროცესის წარმართვას. სწავლის მართვის სისტემა არის ინტერნეტზე დამყარებული კომპიუტერული პროგრამა, რომელიც აუცილებელია

ვებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვისთვის, კერძოდ, სასწავლო მასალების მიწოდების, სტუდენტის სტუდენტთან და/ან ლექტორთან კომუნიკაციის, ტესტირების, კონსულტირების, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისთვის და ა.შ.

2. ელექტრონული სწავლების მიღება ხდება ასინქრონული ან/და სინქრონული კომუნიკაციის ფორმით. ასინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ კომუნიკაციას, ხოლო სინქრონულის დროს კომუნიკაცია ხორციელდება ერთსა და იმავე დროს.

3. ელექტრონული სწავლების პროგრამა აგებულია საგანმანათლებლო პროგრამისთვის ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მისი დაძლევის შემდეგ პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ელექტრონული სწავლების პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება მხოლოდ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე ამ კანონის VIII თავით დადგენილი წესით.

5. იმ პროგრამების ელექტრონულად განხორციელება, რომელთათვისაც ამ კანონით სავალდებულოა აკრედიტაციის გავლა, დასაშვებია მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი